# ცნობის ფურცელი

VI წ. — ყოველ-დღიური გამოცემა — 1901 — შაბათი, 14 ივლისი — № 1523

...ზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ...ებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.
...ის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ...ის დიდ ქუჩაზე, № 27, და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ...სის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის ... უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.
**რედაქციის კანტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. ტელეფონი № 372.



## ტფილისის ...ერძო სამკურნალო
### მიხეილ გედევანიშვილისა.

...მყოფებს იღებენ ყოველ დღე. კვირა უქმეების გარდა

**დ ი ლ ი თ:**

...ი. **შიშინაძე**—კბილის სნეულებანი 8—10 ...მდე.
...ს. **გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლო... ...ელექტრონით 9—10 საათამდე.
...გ. **მაღალაშვილი**—შინაგანი 10—11 სა... ...დე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.
...ა. **მუღინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა ...12 საათამდე.
...შ. **ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი ...12 საათამდე.
...ნ. **მაჭავარიანი**—თვალისა 10—11 საათამდე.
...ამი ქალი მ. ს. **ზაქრაძე**—ბავშვების. ...12 საათამდე.
...ს. **გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინა... 12—1 საათამდე.
...გ. **ფილდარროვი**—შინაგანი და საბავშვო ...2 საათამდე.
...დ. **მარკევიჩი**—სადოსტაქრო $12^1/_2$—$1^1/_2$ ...მდე, სამშაბათობით 3—4 საათამდ.
...დ. **ბეკთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და ...დესი $1^1/_2$—2 საათამდე.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

...ი. ნ. **თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი ...საათამდე.
...ს. **ბელოგოლოვი**—შინაგანი (სტომაქის ავად... ...ობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ...მდე.
...გ. **მაღალაშვილი**—კვირაობით, 10—12 ს-დე.

**სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.**

...სი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციე... ...ორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ...კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.
...ესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინა... ...სა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ). ...ლ.) **ტელეფონი № 274.**

## ...ილისის დურგალთა ამხანაგობის გამგეობა

...ით აცხადებს, რომ კვირას, 22 ივლისს ...შნულია საზოგადო კრება. განსახილ... ...ი საგნები:
1) 1901 წლის 6 თვის ანგარიში.
2) მოხსენება თავმჯდომარისა გამგეობის ...დებაზე და სასურველ ცვლილებებზე.
3) მოხსენება სარევიზიო და დამფასებელ ...სიებისა.
4) მოხსენება კრედიტის მოპოებაზე,
5) მოხსენება სათადარიგო თანხის საწარ... ...ელ თანხად შეცვლის შესახებ.
6) არჩევანი ახალი წევრებისა. (3—2)

...ოფლო წინამძღვარიანთ კარის სამეურ... ...ო სასწავლებლისათვის **საჭიროა კი... ...ევ ერთი მასწავლებელი**. მთხოვნელთ ...ძლიანთ მიმართონ ილია ივანეს-ძეს წი... ...ღვარიშვილს, მის სანატარიალო კანტო... ...ი. კანტორა იმყოფება ველიამინოვის ...ზე, სახლი № 2, მასწავლებელს უნდა ...ნდეს მოწმობა სამასწავლებლო ინსტი... ...ტისა, ანუ სემინარიისა. ჯამაგირი ექ... ...ა თვეში ხუთი თუმანი, სახლი და შეშა. 2—1.


## მთავრობის განკარგულებანი

**სამოქალაქო უწყებას:**

...თაისის ქალაქის მომრიგებელ სასამართლოს ...ულს კოლეჯსკი ასესორს გ ა ბ ა ძ ე ს და სვა... ...ს მომრიგებელ სასამართლოსას—ო დ ი შ ა რ ი ა ს ...ათ ნადვორნი სოვეტნიკობა.
...თაისის მაზრის მომრიგებელ სასამართლოს ...ნის თანაშემწეს ჩ ი კ ვ ა ი ძ ე ს, სოხუმისას—ჩ ა რ... ...იას და ნაოლადევის მომრიგებელ მოსამართ... ...ლისას—ა ბ ა შ ი ძ ე ს ებოძათ კოლეჟსკი სეკრეტრობა. ქუთაისის ოლქის სასამართლოს კანცელარიის მოხელეს კ ო რ ძ ა ი ა ს—კოლეჟსკი რეგისტრატორობა.

ქუთაისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელთ ჩ ო გ ა ვ ა ძ ე ს და ყ ა ს ა ბ ა შ ვ ი ლ ს და თელავის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელთ ბ ა რ ნ ო ვ ს ა და გ ა რ ს ი ა შ ვ ი ლ ს ებოძათ ნადვორნი სოვეტნიკობა.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მოსამზადებელ კლასის მასწავლებელი გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი დაინიშნა იმავე სასწავლებლის უფროს კლასების ქართულ საეკლესიო ენის მასწავლებლად. ტფილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი რ უ მ ი ა ნ ც ე ვ ი გადაყვანილ იქმნა ქუთაისის სასულიერო სემინარიაში, ხოლო ამ სემინარიის მასწავლებელი ვ ო ს კ რ ე ს ე ნ ს კ ი—ტფილისის სას. სემინარიაში.

# დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

**12 ივლისი.**

**ლონდონი.** ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლის კრებაზე ბრუარდელი ამტკიცებს, რომ შესაძლებელია ტუბერკულოზისაგან მორჩენა; იგი არ ეთანხმება კოხის აზრს საქონლის ტუბერკულოზის ადამიანზე არ-მოქმედების შესახებ.

**სოფია.** მიტროპოლიტი კლიმენტი გარდაიცვალა.

**კონსტანტინეპოლი.** საბერძნეთის მთავრობამ შეატყობინა პორტას, რომ მას განზრახვა აქვს გაგზავნოს ესკადრა ოსმალეთის ზღვაში; ესკადრას უნდა მოეარა სმირნა, სოლუნი და ათინა, მაგრამ პორტამ, პოლიტიკურ მოსაზრებათა გამო, უარი უთხრა საბერძნეთს. საბერძნეთის ელჩისა და ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრს შორის მოლაპარაკებაა ამ საქმისა გამო.

**მოსკოვი.** დღეს სადგურ პროკაზნაზე ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ მოინდომეს მგზავრთა მატარებლის № 25-ის დაღუპვა, რისთვისაც მათ დაედვათ რელსებზე ტელეგრაფის ბოძი, მაგრამ მემანქანემ დროზე გააჩერა მატარებელი.

**ბათუმი.** შუადღისას ქალაქის შუა ადგილას იფეთქა ნაღმებმა, რომელნიც ბურუნ-ტაბიეს ახლო იყვნენ. უბედურება მეტად დიდია ბევრი აფიცერი აღარ სჩანს; ნანგრევებში პოულობენ და აგროვებენ მკვდრებს; ბევრი დაიღუპა. სახლებიც ბევრი ჩამოინგრა; მოედანზე პოულობენ ადამიანების სხეულის ნაგლეჯებსა, მოგლეჯილ ხელებსა და ფეხებს; შეუძლებელია დაახლოვებითაც გამოვიანგარიშოთ დაშავებულთა და დაღუპულთა რიცხვი. ქალაქის შუა ნაწილი ძალიან დაზარალებულია.

**ხარკოვი.** როგორც კი ჩვენება ჩამოართვეს საადგილ-მამულო დასავაჭრო ბანკების გამგეობათა წევრებს—ლიუბარსკის, ორლოვს, ჟურავლიოვს, გოლევს, აბრამოვს, ავალოვს, ვ. ალჩევსკის და კუკსინს, დაადგინეს ყველა დასახელებულ პირების დაპატიმრება და ყველანი პოლიციელების თანხლებით გუბერნიის საპატიმროში გაგზავნეს. ამ განკარგულებას შესცვლიან, თუ ვინმე საადგილ-მამულო ბანკის გამგეობის წევრების სათავდებოდ წარმოადგენს 6 მილიონ მანეთს და სავაჭრო ბანკის გამგეობის სათავდებოდ 3.200,000 მანეთს.

**პეტერბურგი.** გერმანელი სასწავლო გემი „შარლოტა“ წავიდა აქედან 12 ივლისს. პრინცი ადალ-ბერტი წავიდა პეტერგოფს, სადაც იგი გამოემშვიდობება მის უდიდებულესობას; აქედან იგი წავა კრონშტადტში, სადაც იგი „შარლოტაზე“ გადავა.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

# ჟურნალ-გაზეთებიდან

**ინგლისი.** გაზეთებში სამხედრო მინისტრის ბროდრიკის წერილი დაიბეჭდა. ბროდრიკი სწერს ქ. ბ. ჰობჰოუზს: თქვენგან გამოაშკარავებული ამბები, რომ ბურების დედაკაცებსა და ბავშვებს უღმერთოდ ექცეოდნენ,—უტყუარი ყოფილა; თითქმის ყველა თქვენი წინადადება და რჩევა მთავრობამ მიიღო. მთავრობის ამისთანა საქციელმა ყველა «ჯინგო» (წრეს-გადასული პატრიოტნი) მეტად გაარისხა, მით უმეტეს, რომ მთავრობის გაზეთები და თვით სამხედრო მინისტრიც აქამდე ძლიერ ჰკიცხავდნენ ქ. ბ. ჰობჰოუზს; ამ ახლო ხანებში საზოგადოება ისე იყო აღელვებული კეთილშობილი ქალის წინააღმდეგ, რომ ვინც გაჰბედავდა და ჰობჰოუზის გამოკვლევაზე ხმას ამოიღებდა, თითქმის განსაცდელში ჩავარდებოდა. ეხლა ჯინგო უგირიან, მთავრობამ იარაღი დაჰყარა წრეს გადასული გულხვილობის წინაო. ნამდვილად კი, ასეთი გადაწყვეტილება დიდად სასახელოა მთავრობისათვის და მადლობის მეტი არა ეთქმის რა, რადგანაც ბურების ქალებისა და ბავშვების უღმერთო დევნას ბოლოს მოეღება. მაგრამ ყველაზე მეტი მადლობის ღირსი კი მამაცი ქალია: ყველას წინააღმდეგ წავიდა და თავისი ჭეშმარიტ კაცთმოყვარეობით და სისწორით საზოგადოებასა და მთავრობასა სძლია. სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ სიმართლემ ასე გვიან გაიმარჯვა. რამდენი ბავშვი დაიღუპა, რამდენი ტანჯვა და ვაება აიტანეს დედებმა და თანაც ყველა ეს უბედურება და მსხვერპლი სრულიად უსარგებლო იყო ინგლისისათვის. ინგლისის საზოგადოებამ გაიდვიძა, ყველგან ფულს აგროვებენ, ექიმები თავიანთ ნებით სამხედრო ბანაკებში მიდიან, ერთის სიტყვით, ბევრნაირად ცდილობენ, რომ ტყვე ქალებს ხვედრი შეუმსუბუქონ და ბავშვები სიკვდილს გადაარჩინონ.

✿ განთქმული სამხრეთ-აფრიკელი მოღვაწეები კაპიტალისტი ბესილ როდსი და დოქტორი ჯემსონი ლონდონში მისულან.

✿ ლორდ როზბერის წერილს ლიბერალურ წრეებზე მეტად ცუდი შთაბეჭდილება მოუხდენია. წერილი არც ანტი-იმპერიალისტებს მოეწონათ და არც იმპერიალისტებს,—ეს იმპერიალისტები ხომ დიდად უწყრებიან როზბერის. ამას თითონ კონსერვატიული გაზეთებიც არა ჰმალავენ. «სტანდარდ»-ი სწერს:

«ლიბერალ-იმპერიალისტები იმ აზრისანი არიან, რომ როზბერიმ გაჭირვებაში ჩაგვაგდოო. როზბერიმ ურჩია იმპერიალისტებს დასის მეორე ფრთას სრულებით მოჰშორდითო, ლიბერალ-იმპერიალისტების უმეტეს ნაწილს კი სულაც არა ჰსურთ ესა: ესენი ჰფიქრობენ, რომ უთანხმოება მხოლოდ დროებითია და იმი რომ გათავდება, ისიც გაჰქრებაო. როზბერის წერილი ნამეტნავად ასკვიტისათვის იყო საწყენი, რადგანაც როზბერიმ ასკვიტის ყველა განცხადება დაარღვია. ასკვიტი სულაც არაა იმ აზრისა, ვითომც ლიბერალებს სამუდამოდ განხეთქილება მოჰსვლოდეთ და იმედიც აღარ დარჩენილიყოს, რომ ეს უთანხმოება მოისპოს».

თვის მოწინააღმდეგე ლიბერალებს კი, «სტანდარდ»-ის სიტყვით, როზბერის მანიფესტი ერთის მხრით ესიამოვნათ კიდეცა.

«ეს ლიბერალები,—ამბობს გაზეთი,—უთუოდ წინააღმდეგნი იყვნენ, რომ როზბერი კიდევ როდისმე დასის წინამძღოლად გამხდარიყო; ეხლა კი, მათის აზრით, როზბერი სამუდამოდ ამოუშალა ლიბერალობის დასიდანაო. როზბერის მეგობრები კი სულ სხვა ნაირად ჰფიქრობენ და იმედოვნებენ, რომ მოვა დრო, როდესაც როზბერის მოიწვევენ და მთელი განხეთქილებული დასის მეთაურად დააყენებენო».

ანტი-იმპერიალისტების გაზეთი «დეილი ნიუს»-ი აცხადებს, რომ წინ დაუხედავმა წერილმა როზბერის სამუდამოდ გზა შეუკრა წინამძღოლის თანამდებობისაკენ, ლიბერალ-იმპერიალისტებს ძირი გამოუთხარა და ამით კემპბელ-ბანერმანის გავლენა უფრო გააძლიერაო. ამავე აზრს გამოსთქვამენ თითქმის ყველა ლიბერალური გაზეთები. ასე, «ბირმინგამ პოსტ»-ი სწერს:

«უნიონისტებსაცა და ლიბერალებსაც ვერ გაუგიათ, თუ რატომ არა ცდილობს როზბერი, თავისი აზრები განახორციელოს. აქამდე ჯერ არც ერთი დიდი სახელმწიფო მოღვაწე არ მოქცეულა ასე. თითქმის არც ერთი ინგლისელი, ვისაც კი ჩვენი კონსტიტუციის წესები აქვს შეგნებული, ვერ მოიწონებს იმ პოლიტიკური მოღვაწის ქცევას, რომელიც მხოლოდ სხვის მოქმედებას არჩევს და არა ნდომობს, თითონაც საქმეში გაერიოს და თავის სიტყვა საქმედ აქციოს».

**სამხრეთ აფრიკა.** «როსსია»-ს სწერენ ლონდონიდან:

«აქ ამბავი მოვიდა, რომ კაპის ახალშენში ხელ-ახლად ძლიერმა აჯანყებამ იფეთქაო. გენერალმა ფრენჩმა დიდი მაშველი ჯარი მოსთხოვა ლორდ კიტჩენერსაო».

✿ პრეტორიის აღების წლის თავზე ბურებმა საშინელი სროლა აუტეხეს თურმე პრეტორიის სიმაგრეებს. ამისოდაც თითქმის ყოველ დღე პრეტორიაში ზარბაზნისა და თოფის სროლა ისმის. პრეტორიაში მცხოვრებ ბურებს დღემდე მტკიცედ სწამთ, რომ ბოლოს და ბოლოს ბურების თავგანწირული გმირობა უსათუოდ სძლევს ინგლისის ზღვა ჯარსაო.

✿ «დეილი ნიუს»-ი იუწყება, რომ გენერალმა ბოტამ ნატალის საზღვარზე ერთი საკანგებო მატარებელი დაიჭირაო. მატარებელს ინგლისის ხაზინა თურმე მიჰქონდა: 2 მილიონ ფრანკ ოქროზე მეტი ყოფილა. ეს ფული ბოტას წაუღია და თავის რაზმისათვის დაურიგებია. დელაგოას რკინის გზაზე დევეტს თოფის დაუცდელად მეორე მატარებელი დაუჭერია. ამ მატარებლით ბისკვიტები მიჰქონდათ ინგლისის ჯარისათვის. ბისკვიტები დევეტს თავის რაზმისათვის მიუცია. ამ ამბებზე ინგლისის მთავრობას ხმაც არ ამოუღია, თითქო არც კი მომხდარა-რაო.

# ახალი ამბავი

✦ გუშინწინ ტფილისში ჩამოვიდა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ბ-ნი ზავადსკი.

✦ სამზრუნველო რჩევის უმაღლესად დამტკიცებულის დებულებით, საქალებო ინსტიტუტის მასწავლებელთ, რომელთაც სამი წელიწადი უმსახურიათ, უფლება აქვთ გაზარდონ თავიანთი ქალები სახელმწიფო ხარჯით დედოფალ მარიამის უწყების გიმნაზიებში და ინსტიტუტში. მხოლოდ საჭიროა ყოველ ამისთანა შემთხვევისათვის მისის უდიდებულესობის დედოფლის ნებართვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

✦ ორშაბათს, 16 ივლისს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში სხდომა ექმნება კავკასიის სამეურნეო სამრეწველო გამოფენის გამგე-კომიტეტს ზოგიერთ მიმდინარე საქმეების განსახილველად.

✦ **ტფილისის სანიტარულ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის** ქალაქის სასანიტარო საბჭომ დაადგინა: 1) წინადადება მიეცეს საბჭოს ყველა ექიმებს, ყოველ დღე დაათვალიერონ თავიანთი უბნები და უმეტესი ყურადღება მიაქციონ სასმლისა და საჭმლის დუქნებს და ქარხნებს. 2) დაუყოვნებლივ შეგროვდეს ცნობები უსუფთავო და სანაგვე ადგილების შესახებ და მიღებულ იქმნას ზომები მათის გასუფთავებისათვის. 3) წინადადება მიეცეს ყველა სანიტარებსა და ექიმებს, ოქმები შეუდგინონ ყველას, ვინც სანიტარულ წესებს დაარღვევს და პასუხის გებაში მისცენ. 4) ყოველ ორ კვირაში სასანიტარო საბჭოს ანგარიში წარუდგინონ ქალაქის სანიტარულ მდგომარეობის შესახებ.

✦ **ნატახტრის წყაროების კომისია** კიდევ მიდის ნატახტრის წყაროების გამოსაკვლევად და, როგორც გვარწმუნებენ,— უკანასკნელად. ღმერთმა ჰქმნას, მაგრამ ძნელი დასაჯერებელი კია.

✦ დღეს, 14 ივლის, საზაფხულო თეატრში, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, სცენის მოყვარეთაგან არტისტის სვიმონიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „ციმბირელი“.

✦ გუშინდელ ნომერში მოყვანილი გვქონდა ამბავი **ასასის ჯეჯინაშვილის მოკვლის** შესახებ. როგორც აღმოჩნდა, გაქცეულ ჯეჯინაშვილისათვის რევოლვერი უსვრიათ როგორც მხითარიანს, ისე პოლიციელს, ასე, რომ დანამდვილებით არ იციან, რომელმა მოჰკლა საბრალო. დღეს ექიმები გასჭრიან და შეამოწმებენ ჯეჯინაშვილის გვამს.

სასანიტარო საექიმო ინსპექტორმა წარუდგინა ქალაქის გამგეობას **ქალაქის სასანიტარო ხარჯთ-აღრიცხვა**. მომავალის წლის ხარჯთ-აღრიცხვა 40 ათასი მანეთით ნაკლები იქნება წლევანდელზე, რადგანაც განზრახული არ არის ახალი საავადმყოფოების აგება.

✦ ფინანსთა სამინისტროში ამ ჟამად წარდგენილია საქმე **სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებისათვის** საკუთარ შენობის აგების შესახებ. ამ მიზნით ტფილისში ნაყიდია თამამშოვის სახლი ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

✦ იმ **ებრაელებს**, რომელთაც კანონით აღკრძალული აქვთ სხვის სახელოსნო ნაწარმოებით ვაჭრობა, ტფილისის პოლიციამ გამოუცხადა 25 ივლისამდე მოსპონ ეს ვაჭრობა.

✦ გუშინ ტფ. ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე გორის მაზრის მცხოვრების, 57 წლის მოხუცის, ივანე გიორგის ძის სირაძისა, რომელსაც ბრალად ედებოდა, რომ მან ფარსადან დავითის ძის ხუდადოვის სახელით ხელი მოაწერა **ყალბად შედგენილ ვექსილზე**, რომლითაც ფარსადანის შვილმა მიიღო სომხეთა საქველ-მოქმედო საზოგადოებიდან 3,000 მან. და გაფლანგა. ეს ფული ფარსადანისათვის ანდერძით დაუტოვებია ძმას. ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო ბრალდებული აღნიშნულ ბრალდებაში და გარდაუწყვიტა ზოგიერთ უფლება—უპირატესობათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში 1 წლის ვადით გაგზავნა.

✦ ქალაქის სასანიტარო საექიმო საბჭოს განზრახვა აქვს გამოფენისათვის დაამზადოს დაწვრილებითი **აღწერა ქალაქის სანიტარულ დაწესებულებათა**. ამ საქმის შესრულებისათვის არჩეულ იქმნა განსაკუთრებული კომისია, რომლის წევრებად არიან: ექიმი სტეფანოვი, შავერდოვი და კალინოვსკი, ხიმიკოსი ალიხეგოვი და ბეითალი კანცელმახერი.

✦ ქალაქის სასანიტარო ექიმმა ტერ-ასატუროვმა დაათვალიერა **ტფილისის აბანოები** და მათში მოსამსახურეები. აბანოების მდგომარეობა სანიტარულის მხრივ გვარიანი აღმოჩენილა, მოსამსახურენი ჯანმრთელნი აღმოჩენილან და არავითარი საეჭვო სენი არა სჭირთ.

✦ გუშინ ტფ. ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო ყარამან დავითისძე ორჯონიკიძე, 17 წლისა, გულმოსულობის დროს ჭილია კურხულის დაჭრაში და გარდაუწყვიტა 2 თვით ციხეში დაპატიმრება.

✦ ამ დღეებში ტფილისის პოლიციამ და სასანიტარო ექიმებმა დაათვალიერეს **ლუდისა და მინერალური წყლების ქარხნები**. ზოგიერთ ლუდის ქარხნებში, როგორც აღმოჩნდა, ლუდის გაკეთებისათვის ხმარობდნენ არა ავჭალის წყაროს წყალს, არამედ უსუფთაო მტკვრის წყალს. გარდა ამისა, ზოგიერთი ქარხნები ანტისანიტარულ მდგომარეობაში აღმოჩენილა. ნამეტურ ცუდ მდგომარეობაში აღმოჩენილა პალის ქარხანა დიდუბეში. პოლიციამ შეადგინა ოქმები დამნაშავე ქარხნების პატრონების სამართალში მისაცემად. მინერალურ წყლების ქარხნებიდან ანტისანიტარულ მდგომარეობაში აღმოჩენილან ლუიზა მადერისა და აბგარიანცის ქარახნები. აღძრულია კითხვა, რომ ეს ქარხნები ან სულ დაიკეტოს, ან სხვა ადგილას იქმნას გადატანილი. გადასწყდა ეგრეთვე, რომ აღიკრძალოს ლორთქიფანიძის ქარხანაში მომზადებულ შავი ლუდის გაყიდვა.

✦ შავი ზღვის ფლოტისა და ნავთ-სადგურების უფროსი ვიცე-ადმირალი **ტირტოვი** გუშინ ბათუმში გაემგზავრა.

✦ გუშინ ტფილისში ქუთაისიდან ეტაპით ჩამოიყვანეს ქუთაისის გუბერნიის მცხოვრები თოფურია, რომელსაც სხვისი ფულების მითვისება ჰბრალდება, ის იყო ლაქიად ტფილისის ერთ-ერთ სასტუმროში. ამასწინად სასტუმროში ჩამომხტარ ლაზარევს მისთვის გაუტანებია ფოსტით გასაგზავნად 150 მანეთი. თოფურიას ეს ფული მიუთვისებია და ქუთაისში წასულა.

✦ 13 ივლისს შუაბაზარში, სასულ. სემინ. ქვემოდ, ტფ. ცხენის რკინის გზის ვაგონი, № 34, როგორც სთქვეს, ამ ვაგონის კონდუქტორ-კუჩერის გაუფრთხილებლობით დაეჯახა გზაზე გადამავალ ვიღაც მოხუც კაცს და დააშავა იგი.

✦ შუაბაზარში, „ივერიის“ სასტუმროს პირდაპირ, როდესაც ქალაქის მუშა, ვართან გრიქუროვი, ჰგვიდა ტრამვაის ცხენების სადგომს, ერთმა ცხენმა საბრალოს ისე ძლიერად დაარტყა თავში წიხლი, რომ თავი გაუხეთქა; დაშავებული მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს. მისი მორჩენა საეჭვოა.

# პრესსა

ამას წინად ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი გვქონდა ახალი კანონი საქველმოქმედო ლატარიების შესახებ. რამდენიმე ხანია რუსეთში სრულიად არ აძლევენ ნებას ამგვარ ლატარიების გამართვისას; ახალ ის კანონით-კი ეს ნება დართულია, მაგრამ გაძნელებული და შეზღუდული. გაზეთები, ეხებიან რა ამ კანონს, ამბობენ, რომ საქველმოქმედო ლატარიების ახალი კანონი ვნებას მოუტანს ბევრ პროვინციალურ საზოგადოებათ, რომელთაც საგნად აქვთ სწავლა-განათლების გავრცელება. „პერმის საგუბერნიო უწყებანი“ ამბობენ.

„ახალი კანონი საქველ-მოქმედო ლატარიების შესახებ მეტად შეავიწროებს ბევრს საჭირო და სასარგებლო დაწესებულებას. ნუ თუ უნდა დაიხუროს ბიბლიოთეკა ან სკოლა, საიდანაც მიაქვთ წიგნები და სადაც სწავლობს მრავალი ბავშვი, რომელთაც სხვა გზა არა აქვთ და განათლება მხოლოდ საქველ-მოქმედო საზოგადოების მეოხებით შეუძლიათ მიიღონ?! ვერავინ ვერ გაბედავს შესწყვიტოს მოქმედება იმ საზოგადოებათა, რომელნიც შველიან ხალხს და განათლებას აძლევენ მას. ამიტომაც ორიოდე მოღვაწე ყოველ ღონის-ძიებას ხმარობს, რომ წარმოდგენებისა და კონცერტების გამართვით იშოვოს რამდენიმე გროში; ეს მოღვაწეები ხშირად იძულებულიც ხდებიან ლატარიებს მიჰმართონ, თუმცა სასურველი არ არის ამ გზით ფულის მოპოვება. ხოლო, თუ ამ ჟამად კანონით შეიზღუდა საქველ-მოქმედო ლატარიების გამართვა და ამ გზით საზოგადოებათ მოაკლდება თ სახსარი, საჭიროა სხვა საშუალება აღმოუჩინდეთ მათ რათა არ მოისპოს მათი სასარგებლო მოღვაწეობა. ნუ-თუ დრო არ არის აღიარებულ იქმნას, რომ ყოველ კერძო დაწესებულებას, რომელიც თავის საშუალებით ხალხს ეხმარება სწავლა-განათლების საქმეში, სახელმწიფომ უნდა შეუწყოს ხელი და სახელმწიფო უნდა დაეხმაროს?!

* * *

მეტად საინტერესო პროექტი შეუმუშავებია მოსკოვის ერთ კაპიტალისტს კალინინს. ის აარსებს სააქციონერო საზოგადოებას, რომელსაც საგნად ექნება ააშენოს მოსკოვში დიდი სახლები, დაჰყოს ისინი სადგომებად და, გაქირავების მაგიერ, მიჰყიდოს ისინი მსურველთ. მოსკოვის გაზეთების სიტყვით, ეს საქმე ასე მოეწყობა:

„დიდი შენობა დაყოფილ იქნება სადგომებად; თითო სადგომში ერთ ოთახიდან ექვსამდე იქნება; უდიდესი სადგომის ქირა წელიწადში 1000 მანეთს არ აღემატება. სადგომები ქირით არ გაიცემა, მსურველს შეეძლება მხოლოდ მისი ყიდვა. მაგალითად, ასე: სადგომი, რომელშიაც მხოლოდ ერთი ოთახი იქნება, დაფასებული იქნება 2000 მანეთად. ეს ფული მსურველმა ნაწილ-ნაწილ უნდა იხადოს; ეს ყოველ წლივ გადაიხდის თითქმის იმდენს, რამდენსაც გადაიხდიდა დაქირავების დროს, ცოტაოდენის %-ის დამატებით; როდესაც ორი ათას მანეთს გადიხდის, სადგომი მის საკუთრებაში გადადის. განზრახულ სახლებში იქნება ყოველივე, რასაც მოითხოვს ახლანდელი წესი და მეცნიერება: კანალიზაცია, წყალი, ბაღი და სხვა. სადგომი, რომელშიაც 5—6 ოთახი იქნება, ეღირება 15—16 ათას მანეთად, რომელიც აგრეთვე ნაწილ-ნაწილ უნდა იქმნეს გადახდილი.“

გამოანგარიშებულია, რომ სააქციონერო საზოგადოებას 20% მოგება დარჩება. ეს მოგებული ფული, პროექტის შემდგენელის აზრით, უნდა მოხმარდეს სხვა ამგვარ შენობების აგებას.

სწორედ, მშვენიერი აზრი მოსვლია ბ. კალინინს!

## ბათუმში მომხდარი უბედურება

I.

საოცარი უბედურება მოხდა ბათუმში ამ ივლისის 12 ს. დილის თერთმეტი საათი იყო სწორედ, რომ ბატარეია ბურუნ-ტაბიაში, მენაღმეთა „როტის“ ყაზარმაში, იფეთქა სამხედრო გემების ასაფეთქებლად დამზადებულმა ნაღმებმა და დაინგრა ერთი ნაწილი ბატარეიისა. უბედურებამ იმსხვერპლა ყაზარმაში მომუშავე პოდპოლკოვნიკი კრენკე, პორუჩიკი ესიპოვი, მათთან ყოფილი ათი სალდათი; ყველა ესენი ჩამარხული არიან ნანგრევებ ქვეშ; მოჰკლა მახლობლად მყოფი მოდარაჯე არტილლერიის სალდათები, ბატარეიის ეზოში ყოფილი არტილლერიის მუზიკის დირიჟორი გაუჰტმანი, უფროსი მემუსიკე, ოცამდი მახლობლად ყოფილი სალდათები; ასე, რომ მოკლულთა რიცხვი ორმოცამდინაა და ამდენივე დაშავებულია; ზოგი მეტად მძიმედ არის დაჭრილი, ისე, რომ ძრიელ საეჭვოა მათი გადარჩენა. ბატარეიის ყაზარმაში ცხოვრობდა აგრეთვე იქ მდგომ როტის ფელდფებელი, რომლის ცოლი და უფროსი შვილი მხოლოდ იმან გადაარჩინა სიკვდილს, რომ შინ არ იყვნენ. სიდედრი და ერთი ბავშვი კი ნანგრევებ ქვეშ მოჰყვნენ. შენობები სულ ერთიანად დალეწილია. საზარელ სურათს წარმოადგენდა ბატარეიის ეზო, მრავალ მოკლულთა და დაშავებულებით მოფენილი. აქა-იქ ეყარა კაცის ნაფლეთები, ზოგან ხელი, ზოგან ფეხი, მკლავი, თავი, ზოგან მთელი გვამი საზარლად დამახინჯებული, ზოგან თავ-წაგლეჯილი და ტვინ-გადმოხეთქილი გვამი. რასაკვირველია, მთელი უფროსობა მოაწყდა ერთი თვალის დახამხამებაში და, ამ უბედურების შემყურე, საჭირო განკარგულებას ახდენდა. დროგები და ფაეტონები ზიდავდნენ მკვდრებს და დაჭრილებს საავადმყოფოში. მთელი გარნიზონი, რაც კი სალდათები იყო ამ ხანად ბათუმში, ბარებით გამოიყვანეს ნანგრევების გადასაჩხრეკად, მაგრამ მუშაობა გაუძნელდათ, რადგან უზარმაზარი ბეტონ-ლოდებია ჩამოხეთქილი და არეულ-დარეული. ერთ ადგილას ამ ნანგრევებში მოხვდა დიდი, 11 დიუიმიანი ზარბაზანი, რომელიც იდგა სწორე[...]
კაზარმის ზემოთ, სადაც იფეთქა ნაღმ[...]
ყაზარმაში ეწყო ოთხმოცი ნაღმი, გა[...]
ლი ჩვეულებრივის შავის წამლით; თით[...]
ღმში იყო ხუთ-ხუთი ფუთი წამალი და[...]
გარდა კიდევ ყოფილიყო თავისუფალი[...]
მალი, სულ ხუთას ფუთამდის. უბედურ[...]
მიზეზი, რასაკვირველია, არავინ იცის, [...]
ლოდ აქ გაუფრთხილებლობას ადგილი[...]
აქვს; არა აქვს იმიტომ, რომ როტის [...]
როსი პოდპოლკოვნიკი კრენკე საო[...]
ფრთხილი, აუჩქარებელი დინჯი, დაკვ[...]
ბული და მცოდნე კაცი იყო და თავის[...]
უსწრებლად არასოდეს არავის ნებას ა[...]
ლევდა ნაღმებთან ემუშავნა. სწორედ[...]
ღაც უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლ[...]
ჭკვიანი, შრომის მოყვარე, პატიოსანი ა[...]
გაზრდა კაცი და მასთან სრულიად ახალგ[...]
პორუჩიკი ესიპოვი, რომელსაც ცოტა [...]
წინათ შეერთო ცოლი და დროებით ბა[...]
მში ჩამოსულიყო რამოდენიმე კვირის [...]
უბედურება ამით არ გათავებულა. აფეთ[...]
ისეთი მძლავრი იყო, რომ ბატარეიის მახ[...]
ბლად, ეკკლესიის გვერდში, ცეცხლის მ[...]
ბელი სამხედრო რაზმის ყაზარმაში ერთ [...]
დათს თავი გაუხეთქა; მთელი მოედანი ეკ[...]
სიის წინ მოჰფინა ქვებით, რკინის ნატეხ[...]
ხელებით, ფეხებით, მოკლულ სალდ[...]
ბის გამურულ ხორცით. ეკკლესიის ე[...]
დააგდო კაცის გული, ფილტვები და [...]
ლები; იქვე ახლოს ბავშვს გაუხეთქა [...]
ჯიშკარიანის მაღაზიაში; მე შევეკითხე [...]
და მან მითხრა, რომ არ ვიციო, რაღ[...]
თავში დამკრა და თავი კინაღამ გამიხეთ[...]
მიპასუხა თავ-შეხვეულმა, აძიგძიგებულმ[...]
ვშმა. მახლობელ სახლებში სრულიად დ[...]
წა ფანჯრები; ნასროლი ქვებით ბევრგა[...]
რებიც დამტვრეულია. რკინის ნატეხი ის[...]
სიმძლავრით გადუსვრია, რომ საურთიე[...]
საზოგადოების ბანკის წინ მდგარი ელ[...]
ტრონის ფარნის ბრინჯაოს სვეტი გადუ[...]
ქია და სცემია მაღაზიის კარებს ისე, [...]
ხის ჩარჩო სრულიად დაულეწია; იქვ[...]
გვარსავე რკინის ნატეხს კედელი შეუ[...]
ვია და შიგ შევარდნილა ფოტოგრაფ[...]
სმეკალოვის ქუჩაზე, ქვა-ფენილზედ [...]
ვალ დედა-კაცს თავში მოხვედრია ქვ[...]
იქვე მოუკლავს; რუსეთის სანაოსნო [...]
ვაჭრო სააგენტოში ორი მოსამსახურ[...]
თმანეთს ისე მიუჯახებია, რომ კინაღამ [...]
მომკვდარან. ყოველი მხრიდან ისმის ა[...]
შემაძრუწუნებელი ამბები. ერთმა ნა[...]
მა მიამბო, რომ, ის იყო, ვუახლოვდე[...]
ბატარეიას, რომ ერთი იჭექა, იგრია[...]
წამოვიდა ზევიდან ქვის წვიმასავითო; [...]
ქმნა ერთი ლაწა-ლუწა, შუშების წკრ[...]
ფანჯრებშიო და მთლად რაც ხალხი [...]
ქუჩაში, ყველა გავრბოდით, რათა გავშ[...]
ებულიყავით ბატარეიასო. ელექტრო[...]
ფარნები, მავთულები, მავთულები ტე[...]
ფონისა სრულიად დაწყვეტილია ბატა[...]
მახლობლად; სახლებიც მრავალია დაზ[...]
ბული. მთელი ქალაქი შეძრწუნებუ[...]
ამგვარ წარმოუდგენელი უბედურების [...]
ხვით.

ბატარეიის მახლობლად სახელმ[...]
სახლებში სცხოვრობენ ოფიცრები. [...]
კვირველია, ამათი ფანჯრები სრულიად[...]
ლეწილია. ერთ ოფიცერს, კაპიტან კ[...]
ტოვსკის შვილს დაუშავა ხელი და [...]
თვით კაპიტანი დაშავებულია თავში; [...]
ვებულია თავშივე მეორე კაპიტანი ვო[...]
კოვი, რომელიც იქვე იყო თავის სახლ[...]
მთელი ეზო მოფენილია ქვებით, სახუ[...]
ნაგლეჯებით, დახოცილ ფრინველებით[...]

საოცარი იყო მდგომარეობა სალდა[...]
რომელიც დარაჯად იდგა იქვე, აფეთქ[...]
ყაზარმების მახლობლად; ბეტონის კედ[...]
უცნაურად დაიფარა იგი ამ უბედურე[...]
ის იდგა ისევ თოფით ხელში თავის ად[...]
ლას და როცა უფროსებმა აქეს და [...]
რეს მიეტოვებინა თავისი საყარაულო[...]
მიუგო, რომ ხელმწიფე იმპერატორის [...]
ნების მიღებამდის არ შემიძლიაო; ას[...]
ტომ მიუგო მან, რომ სადარაჯოს უფრ[...]
და დამყენებელი ეფრეიტორი მკვდ[...]

...და სხვას უფლება არ აქვს მისი ად... ...ან დაძვრისა. საცოდავი, გარეტიანე ...ით გამოიყურებოდა ამ ნანგრევებ...

...და ღამე ბათუმის მთელი გარნიზო... ...ობაში იქნება, სანამ ნანგრევებიდან ...ლთა გვამებს არ გამოიტანენ. ღლი... ...ენეს ფეხი, თავისა და კისრის ნაგ... ...და წვრილ-წვრილი ნაფლეთები ადა... ...ს.

...თო იხსენ ყოველივე საშინელი ამ ...ნახავისაგან, ჩვენ რომ ვნახეთ!

ქ.

II

...ედ ღვთის რისხვათ უნდა გათენე... ...ქ. ბათუმისათვის 12 ივლისი. ...ს ხანად, როცა ყველა აქაურ სა... ...ო დაწესებულებებში გაცხარებუ... ...შაობა იყო, კერძო სახლებში ტკბი... ...ლ-შვილში დროებას ატარებდა, ...სადილოდ ემზადებოდა და საზოგა... ...ელა თავის დღიურს შრომას ჩვეუ... ...ეწეოდა,—ამ დროს უცბათ უძ... ...ა ხმამ მთელი ჰაერი შეარყია. იმ ...მძლავრი იყო ეს ჰაერის შერყევა, ...ელ ბათუმში ერთი სახლიც არ ...ლა, რომ ჩაკეტილი ფანჯრებიც კი ...არ ჩამსხვრეულიყო... თავ-ზარ და... ...ხალხი ამ მოულოდნელი შემთხვე... ...ერთმანეთს აწყდებოდა და სახლე... ...ავის საშველად გარედ გამორბოდა; ...ი ვერ მიეცა თუ რა ხდებოდა იმის ..., ზოგს ეგონა მიწის ძვრა არისო ...ოდა, ზოგს კიდევ ეგონა—სახლი ...ქცევა და გავიდე სამშვიდობოზეო, ...რა, არც ერთი და არც მეორე— ...ნებულ გარეთ გამოცვივნულ ხალხს ...თვალ-წინ წარმოუდგა იმის წინათ ...რად მოწმენდილ ცაზე—კუპრსავით ...უბელი, რომელმაც მთელი ბათუ... ...სუდარში შეჰხვია. ეს ღრუბელი ...ხლ წაკიდებულ თოფის წამლი... ...ვეთქებული ბოლი.

...როლაც მომხდარა და თოფის წამ... ...რდაფს უფეთქნია. მრავლისაგან ...ჯარის კაცი დაუხოცნია (ჯერ ცნო... ...რის მოყვანილი რამდენია). იქავე ...ე ხალხიც არის მოკლული ბევრი. ...კინეულობის ნატეხებ-ნაგლეჯები ...აზარში მოსიარულე ხალხსაც მოხვ... ...თა შორის, ერთი ქალი თავისი ბავ... ...ოჰკლა, ერთ გიმნაზიელს ფეხი მოჰ... ...ეტლებით მიმავალი ხალხი და ...ც მოჰკლა უშველებელმა რკინის ...მა. მოკლულთა სხეულის სხვა და ...ები: ფეხი, ხელი, თავი და სხვა ...ი ნაკუწ-ნაკუწად, ბოლში შემუ... ...ქუჩების სხვა და სხვა ადგილებში ...

...ქნეულობის მაღაზიებში ბევრი ...ი ჩამოცვივდა და დაიმსხვრა, ერთი ..., კალმით აუწერელია რამდენი უბე... ...მოხდა. ეტლი აღარ იყო, ...თაც მკვდარი ან დასახიჩრებული ...ი მიჰყავდათ!...

ტ. ინასარიძე

---

## საშუალო სკოლის სასწავლო პლანის კონსპექტი

საზოგადო ტიპის სკოლისათვის.

...ღმრთო სჯული. სამ უმცროსს კლა... ...ვლობენ ძველ და ახალ აღთქმას, ...კატეხიზსს დაბალ სასწავლებლების ...მის მიხედვით და ღვთის მსახურების ...უფროს კლასებში რჩება უცვლე... ...ალურ სასწავლებლის პროგრამა.

...უსული ენა, სიტყვიერება და ლო... ...უსულ ენის სწავლების დროს უმ... ...ლასებში მიზნად უნდა ჰქონდეს, ...ესად, დაასწავლოს ბავშვებს ცხადად ...კვევით გამოსთქვან აზრი, როგორც ..., ისე წერითაც. მოსწავლე სწორად ...ოთქმათ უნდა ჰკითხულობდეს მო... ...ბს, რომელნიც მის ჰასაკს შეეფე... ...და შეეძლოს წაკითხულის მოთხრობა ზეპირად და წერითაც. სამშობლო ენის გრამატიკა იმდენად უნდა შეისწავლონ, რომ მოსწავლეს მეოთხე კლასში უშეცდომოდ შეეძლოს წერა.

მე IV კლასი. სისტემატიური გამეორება სინტაქსისისა და ეტიმოლოგიის. კითხვა და თარგმნა ოსტრომირის სახარებისა, გარჩევა სლავიანურ ფორმებისა და მათი შედარება რუსულ ფორმებთან. მეხუთე კლასიდან იწყება სიტყვიერების შესწავლა, ე. ი. კითხვა და გარჩევა რუსულ ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებებისა, მაგრამ ამასთანავე ყოველ კლასში რამდენიმე დრო უნდა მოანდომონ უცხოეთის ლიტერატურის საუკეთესო თხზულებების შესწავლასაც.

მე-V კლასი. კანტემირი, ლომონოსოვი, დერჟავინი, ფონ-ვიზინი, კრილოვი, კარამზინი, ჟუკოვსკი.

ოდისეა, ილიადა, დანტეს რამდენიმე ნაწყვეტი.

მე-VI კლასი. გრიბოედოვი, ზაგოსკინი, პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, ტურგენიევი, გონჩაროვი. ზღაპრები, «ბილინები» და სახალხო ლექსები.

შილლერი, გეტე, ბაირონი.

მე-VII კლასი. ოსტროვსკი, ლ. ტოლსტოი, ა. ტოლსტოი, დალი, გრიგოროვიჩი, დოსტოევსკი, კირილე და მეთოდე, ნესტორის მატიანე, „სლოვო ო პოლკუ იგოროვე“.

სოფოკლი, სერვანტესი, შექსპირი, მოლიერი.

ლოღიკიდან უნდა გააცნონ მოსწავლეს აზროვნების უმთავრესი წესები და მეთოდები (სინტეზი, ანალიზი, ცნებათა წარმოშობა) დაწვრილებითი ცნობები სილოგიზმების შესახებ არ უნდა ასწავლონ.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს წერით ვარჯიშობას მეხუთე კლასიდან; ტემებს კავშირი უნდა ჰქონდეს რუსულ ენის და ისტორიის სასწავლო კურსთან, მაგრამ რამდენადაც შესაძლებელი იქმნება, ეს ტემები განყენებულის ხასიათისა უნდა იქმნენ. მეშვიდე კლასში თავისით უნდა შეიმუშაონ და დასწერონ მოსწავლეებმა არა ნაკლებ ორის ტემისა.

3) ლათინური ენა, IV და V კლასი. ეტიმოლოგია, მოკლე სინტაქსისი, ვარჯიშობა თარგმნაში და ხრისტომატიის კითხვა.

მე-VI კლასი. გამეორება სინტაქსისისა საჭირო დამატებით და ქრესტომატიის კითხვა, კითხვა კორნელ ნეპოტის ადვილ ადგილებისა.

მე-VII კლასი. ადვილ პროზაიკებისა და ოვიდის მეტამორფოზის ნაწყვეტების კითხვა. ლათინურ ენის სწავლებას მიზნად უნდა ჰქონდეს მოსწავლის იმდენად მომზადება, რომ მას შეეძლოს ადვილ ავტორების გარჩევა და უმაღლეს სასწავლებელში სალიტერატურო მასალით სარგებლობა.

4) ახალი ენები. სკოლაში ასწავლიან ორ ახალ ენას, გერმანულსა და ფრანგულს. ერთ-ერთის სწავლება დაიწყება, მოსწავლის მშობლების სურვილით, პირველ კლასში, მეორესი—მესამეში. ახალ ენის სწავლების მიზანია, რომ სკოლაში კურსდამთავრებულს შეეძლოს სრული გაგება ადვილ ისტორიულ და ბელეტრისტიულ თხზულებებისა. პირველ კლასებში უცხო ენის სწავლება უნდა დაიწყონ ეგრედ წოდებულ ბუნებრივ მეთოდის მიხედვით.

I კლასი. იმ საგნების სახელების შესწავლა, რომელიც მოსწავლეს გარს არტყია, ზოგიერთ მოქმედებისა და განყენებულ ცნებათა სახელები, მოკლე წინადადებანი ხსენებულ სიტყვების საშუალებით შედგენილი; დაფიდან გადმოწერა წინდაწინ შესწავლილ სიტყვებისა და ტექსტისა.

II კლასი. უფრო მეტი საგნების სახელების შესწავლა; უფრო ვრცელ წინადადებათა შესწავლა; ადვილ ნაწყვეტების (პროზა) კითხვა; ადვილ წინადადებათა ზეპირად დასწავლა.

III კლასი. უფრო რთულ ნაწყვეტების (პროზა) კითხვა, მოკლე და ადვილ ნაწყვეტების ზეპირად სწავლა.

შენიშვნა. პირველ 3 კლასში მოსწავლეები გზა-და-გზა უნდა ეცნობოდნენ გრამატიკის უსაჭიროესს მასალას (კანკლედობა და ბრუნვა).

IV კლასი. კითხვა და თარგმნა უფრო ვრცელის ტექსტისა. მოკლე ზეპირი მოთხრობა წაკითხულისა.

V კლასი. იგივე, რაც მეოთხეში.

VI კლასი. კითხვა და თარგმნა უპირატესად ისტორიულ შინაარსის წერილებისა და ზეპირი მოთხრობა წაკითხულისა.

VII კლასი. კითხვა და თარგმნა à livre ouvert ისეთ წერილებისა და თხზულებებისა, რომელნიც შეეფერებიან მოსწავლის განვითარებას. საჭირო გრამატიკულ ცნობებს იძენენ მოსწავლენი მე-IV, მე-V და მე-VI კლასებში.

5) მეორე ახალი ენა იწყება მე-III კლასიდან, სადაც ასწავლიან ისევე, როგორც პირველ ახალ ენას პირველ კლასში; მე-IV კლასში იმასვე, რასაც მეორეში და მესამეში ერთად და შემდეგ კი ორივე ენა თანაბარად მიდის.

6) ისტორია. პირველ ორ კლასში—ეპიზოდიური სწავლება რუსულის ისტორიისა. მესამე კლასში—მოკლე სისტემატიური კურსი რუსულ ისტორიისა. მე-IV ეში ძველი ისტორია და საშუალო კარლოს დიდამდე; მე-V-ეში საშუალო ისტორია მე-XV-ე საუკუნის ბოლომდე და რუსული ისტორია მონგოლების შემოსევამდე; მეVI-ში—მე-XVI-ე და მე-XVII-ე საუკუნოები და რუსულ ისტორიიდან პეტრე დიდამდე; მე-VII-ე კლასში—მე-XVIII-ე და მე-XIX საუკუნოები საზოგადო და რუსეთის ისტორიისა.

ისტორიის სწავლების დროს ყურადღება უნდა მიაქციონ არსებით მხარეს და არა წვრილმანებსა და ქრონოლოგიურ ცნობებს.

მათემატიკის საგნების კურსი თითქმის იგივეა, რაც ეხლა არსებობს, მხოლოდ განაწილებულია შვიდად, რვის მაგიერ.

7) გეოგრაფია. I-ლ კლასში გეოგრაფიულ ტერმინოლოგიისა და ცნობების გაცნობა, რუქის კითხვა, გლობუსი. მეორეში—მოკლე მიმოხილვა ევროპის გარეშე ქვეყნებისა (აზია, აფრიკა, ამერიკა, ავსტრალია და ოკეანია): ჰიდრო და ოროგრაფია, ჰავა და ხალხი. მესამე კლასში (3 საათი)—ევროპის ის ნაწილები, რომელიც რუსეთის საზღვრავენ ან რომელთანაც რუსეთს უფრო მჭიდრო ეკონომიური კავშირი აქვს (საფრანგეთი, ინგლისი, საკანდინავია, ავსტრ-უნგრეთი, სლავიანთა ქვეყნები, ბალკანეთი, ოსმალეთი და გერმანია (1 საათი) და ევროპისა და აზიის რუსეთის მიმოხილვა (2 საათი); მეოთხე კლასში—ევროპის გეოგრაფია; მეხუთე და მექვსე კლასებში რუსეთის გეოგრაფია და სამშობლოს შესწავლა.

8) სამართლის შესწავლა. VI კლასი. სამართლის ენციკლოპედია; მოკლე ახსნა თუ რა არის სამართალი; სამართალი და ზნეობა; ჩვეულება და კანონი. საკანონმდებლო, სამოსამართლო და ადმინისტრატიული სამართალი; სახელმწიფო წყობილებათა ფორმები; ევროპის უმთავრესს სახელმწიფოების წყობილებათა ფორმები. მე-VII-ე კლასი. რუსეთის სახელმწიფო სამართალი; რუსეთის სახელმწიფო დაწესებულებანი; ძირითადი კანონები; მართვის ორგანოები; მოკლე ახსნა, თუ რა არის სამოქალაქო სამართალი და პროცესსი, სისხლის სამართალი და პროცესსი.

9. ბუნების მეტყველება იწყება პირველ კლასიდან. პირველ სამ კლასში ბავშვს უნდა ასწავლონ შეგნებულად უყუროს ყველაფერს, რასაც ხედავს, რაც ესმის და სხვა. ამ კლასებში ბუნების მეტყველების სწავლებას არ უნდა ჰქონდეს სისტემატიური ხასიათი. მე IV-ე კლასი-მოკლე კურსი მინერალოგიისა და ქიმიისა (ამ საგნის სწავლება შეიძლება მხოლოდ პრაქტიკულად, გამოცდილებით); მე V-ე კლასი—ძალიან მოკლე, მაგრამ სისტემატიური კურსი ზოოლოგიისა და ბოტანიკისა. მე-VI-ე კლასი—მოკლე კურსი საზოგადო ბიოლოგიისა. მე-VII-ე კლასი-ანატომია და ჰიგიენა.

მოგვყავს ახალ სკოლის გაკვეთილებს ცხრილი (პროექტი).

| საგნები. | I. | II. | III. | IV. | V. | VI. | VII. | სულ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სამღვთო სჯული | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 14 |
| 2. რუსული ენა, სიტყვ. და ლოგიკა | 5 | 5 | 4 | 4 | 4 | 4 | 4 | 30 |
| 3. ლათინური ენა | — | — | — | 4 | 4 | 4 | 4 | 16 |
| 4. 1-ლი ახალი ენა | 5 | 4 | 3 | 3 | 2 | 2 | 2 | 21 |
| 5. 2-ე ახალი ენა | — | — | 4 | 3 | 4 | 3 | 2 | 16 |
| 6. ისტორია | 2 | 2 | 2 | 3 | 3 | 3 | 4 | 19 |
| 7. გეოგრაფია | 2 | 3 | 3 | 3 | 2 | 2 | — | 15 |
| 8. კოსმოგრაფია | — | — | — | — | — | — | 2 | 2 |
| 9. სამართლის შესწავლა | — | — | — | — | — | 2 | 2 | 4 |
| 10. მათემატიკა | 4 | 4 | 4 | 4 | 4 | 4 | 4 | 28 |
| 11. ფიზიკა | — | — | — | 1 | 3 | 3 | 3 | 9 |
| 12. ბუნების-მეტყველება | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 9+6 |
| 13. ხატვა-ხაზვა | 2 | 3 | 3 | 4 | 2 | 2 | 2 | 8+10/3 |
| 14. სუფთა წერა | 2 | 1 | — | — | — | — | | |
| სულ | 26 | 26 | 27 | 29 | 28 | 29 | 29 | 194 |
| ხელობა, სამხედრო და ფიზიკური ვარჯიშობა | 4 | 4 | 4 | 2 | 2 | 2 | 28 | — |

---

## ქართული თეატრის კატალოგის გამო

(ბიბლიოგრაფიული შენიშვნა)

ამ დღეებში ჩვენ შემთხვევა გვქონდა გადაგვეფურცლა ქართ. დრამ. საზოგადოების მიერ გამოცემული სია ქართულ პიესებისა, რომელნიც წარმოსადგენად ნება-დართულნი არიან.

ოდონდაც კეთილი საქმე უნებებია ქართ. დრმ. საზოგ. გამგეობას, რომ გამოუცია ქართული რეპერტუარის კატალოგი, მაგრამ, სამწუხაროდ, ეგ თავისი კეთილი სურვილი კეთილად ვერ დაუსრულებია.

საქმე ის არის, რომ ხსენებული სია ნება-დართულის პიესებისა მეტის მეტად აჩქარებით არის შედგენილი და მიტომაც მთელს კატალოგს დაუდევრობის ნიშანი ემჩნევა.

კატალოგი შეიცავს სულ 266 სხვა და სხვა სახელს ნება-დართულ პიესებისას. ყველა დაგვეთანხმება, რომ ხსენებული რიცხვი პიესებისა მეტად მცირეა და ეს სიმცირე უფრო შესამჩნევია, თუ ზემოდ ხსენებულ რიცხვს გამოვაკლებთ იმ პიესებს, რომელნიც ყოვლად უვარგისნი არიან და წარმოსადგენად შეუძლებელნი.

თვითონ კატალოგის გადასინჯვა მეტად საინტერესოა ჩვენის თეატრის მეთვალყურეთათვის.

როგორც ზემოდ იყო აღნიშნული, ნება-დართული სულ 266 პიესაა; ეს პიესები დაუწერიათ, გადმოუკეთებიათ თუ გადაუთარგმნიათ 90 სხვა და სხვა პირთ; მომეტებული ამათგანი (2/3), რა თქმა უნდა, ქართველი მწერლები და მსახიობნია, დანარჩენნი კი (1/3) ისრე შემთხვევით და უცაბედად ჩახჩირულან დრამატიულ მწერლებში.

საპატიო ადგილები უჭირავთ კატალოგში პიესების რაოდენობით ჩვენს საპატიო მწერლებს: გ. ერისთავს, ზ. ანტონოვს, რ. ერისთავს, დ. ერისთავს ავ. ცაგარელს და სხვათა.

კერძოდ-კი პიესების რაოდენობის მხრივ პირველი ადგილი უჭირავს ვ. გუნიას (10%) 26 პიესა, ავ. ცაგარელს (7%) 17 პიესა, ვ. აბაშიძეს (6%) 14, აკაკი წერეთელს (4%) 9 პიესა, კ. მესხს (4%) 8 პიესა და მერე რიგ-რიგად—ალ. ყაზბეგს, პ. უმიკაშვილს, გ. სუნდუკიანცს, კ. ყიფიანს და სხვათა.

მთარგმნელებში საპატიო ადგილი უჭირავთ ი. მაჩაბელს 7 პიესა, ივ. მაჭავარიანს 6 პიესა დ. მესხს 8 პიესა და მერე რიგ-რიგად მისდევენ. პეტრე ყიფიანი, გ. ჟურული ალ. ქიქინაძე არ. ახნაზაროვი,

მ. და კ. ნასიძენი, კ. გალუსტოვი და სხვანი.

ხსენებული კატალოგი მაჩვენებელია ჩვენი თეატრისა და სცენის წარმატებისა ამ ოცდა ორის წლის განმავლობაში (1879—1901 წ.) და მწუხარებით უნდა გამოვტყდეთ, რომ ვერაფერი წარმატების ნიშანია 22 წლის განმავლობაში ორასიოდე პიესა! ორთა შუა რიცხვით ყოველ წლივ ჩვენს სცენას ჰმატებია 9 პიესა! ეს ციფირები თავის თავად ღაღადებენ ჩვენის დრამატიულის მწერლობის სისუსტეს და მასთან ერთად დრამატიულ საზოგადოების სიძაბუნეს...

მართლაც, რამდენად ჩვენ კერძოდ ვიცით, დრამ. საზოგ. გამგეობამ ამ უკანასკნელი ორის თუ სამის წლის განმავლობაში ნება-რთვა აიღო ოთხმოცამდე პიესებზე და წინადაც რომ საქმის გამგებელთ ეგრე გულმოდგინეთ ემუშავნათ, ამ ჟამად ერთი ორად და ერთი სამად მეტი იქნება ქართული რეპერტუარი.

ეხლა შევუდგეთ თვით კატალოგის ნაკლის აღნუსხვას: თავდაპირველად კატალოგი სავსებით არ არის შედგენილი. ზოგან მთარგმნელები სწორე არ არის, მომეტებულ შემთხვევაში პიესების ავტორების გვარი არა სჩანს, ზოგან არ იცი პიესა თარგმანია, თუ გადმოქართულებული და სხვ.

უმთავრესი ნაკლი კატალოგისა ის არის, რომ მასში ბევრი პიესებია გამოტოვებული, უკვე ნათამაშებნი და ნება დართულები. მაგალითად: ბარბარე ჯორჯაძისა „რას ვეძებდი და რა ვპოვე“, რ. ერისთავის „ბრილიანტი“ და „პრისტავი“, გ. შარვაშიძისა „მომაკვდავნი სურათნი“, გ. წერეთლის „დარია“, დ. ერისთავის თარგმანი «ორლანო და ლეკვი», ან. ფურცელაძის „დიდი მოურავიანი“ (გ. სააკაძე), ილ. ჭავჭავაძის „დედა და შვილი“ და „გლახა ქრიაშვილი“, ივ. მაჩაბლის თარგ. გოლდონიდან „როგორც ქუხს, ისე არა წვიმს“, ივ. ქაჰანაშვილის თარგ. მანსველდიდან „მგოსანი“, ლაზარიაშვილის „მამა“, ბენაშვილისა და მიხ. ჯორჯაძის პიესები, რომელთა სახელი ვერ მოვიგონეთ ერთბაშათ და ახლად ნება დართულნი—დუტუ მეგრელის „სიკვდილი და სიცოცხლე“, აზიანისა „ფული და ხარისხი“ და ბევრი სხვა, რომელთა სახელი ხელ-და-ხელ ჩვენ ვერ გვაგონდება.

როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, დრამატიულ საზოგადოების გამგეობას ვერ გამოუჩენია კატალოგის შედგენაში შესაფერი სიდინჯე და გამრჯელობა, თორემ ეცოდინებოდა, რომ წინა წლებში, თითქმის ოთხმოცდა-ათიან წლებამდე პიესებს ჩვეულებრივ სინჯავდა ქართული ენის ცენზორი და იგივე აძლევდა ნება-რთვას წარმოსადგენად. ოთხმოცდა-ათიან წლების შემდეგ სხვა წესი შემოიღეს პიესების ნება-რთვისათვის, რომელიც დღემდე არსებობს.

ჩვენ გვეფიქრება, რომ მრავალი პიესები ოთხმოცდა-ათიან წლებამდე ნება-დართულნი ვერ მოქცეულან ეხლანდელს კატალოგში... დრამ. საზოგ. გამგეობა აჩქარებას რომ არ აეყოლებინა და შრომას რომ არ დაეფრთხო, იგი გადასინჯავდა ცენზორების დავთრებს და გაჩხრეკავდა საცენზურო კომიტეტის არხივებს და, უეჭველია, ბევრ პიესებს აღმოაჩენდა უკვე ნება-დართულებს და ნათამაშევთ *)...

ფრიად საგულისხმოა აგრეთვე ის გარემოება, რომ დრამატიული საზოგადოების გამგეობა მთელი წლის განმავლობაში პიესების უქონლობასა სჩივის და მის მიერ გამოცემულ კატალოგიდანა სჩანს, რომ გამგეობის სრულ უფლებაშია 25-ზე მეტი ახალი პიესა, რომელთა დადგმა ქართულ სცენაზე შესაძლებელიც არის და თან ფრიად საჭიროც.

აი ეს პიესებიც: „მგელნი და ცხოვარნი“, ოსტროვსკისა, თარგ. ავ. ცაგარლისა, „კლავიგო“ გეტესი, თარ. მ. ნასიძისა, „განდევნილნი“ ვ. ჰიუგოსი, „კაი გრაკხ“, მონტოსი, თარგ. ივ. მაჭავარიანისა, „მაკბეტ“, «რიჩარდ III» შექსპირისა, თარგ. ივ. მაჩაბლისა, «მეირიმა», თარ. კ. ყიფიანისა, „სამშობლოს სადიდებლად“, კ. მესხის გადმოკეთებული, „საზოგადო საქმე“ დ. ერისთავისა, „ფიგაროს ქორწინება“ ბომარშესი, თარგ. ს. ჭრელაშვილისა, „სოფლის მასწავლებელი“ ვ. აბაშიძის თარგმანი, «ქმრების მონობა», ა. მირიანიშვილის თარგ., «უცოლოთა კლუბი» დ. მესხის თარგ., „სადილი მარშლისას“ ტურგენიევის, გად. რ. ერისთავის მიერ, «სიუზანა» ალ. დიუმასი, თარგ. ვ. რცხილაძისა, „პატიოსნება“ ზუდერმანისა, თარ. ი. ახნაზაროვისა, «სიხარულმა ელდა იცის», სკრიბისა, გად. გ. ქურულის მიერ და ორიგინალური პიესები: «ირინეს ბედნიერება», დ. კლდიაშვილისა და „როგორც მოხვალ სვინაო, ისე წახვალ შინაო“ ავქსენტი ცაგარლისა და სხვ. ამ პიესების ავტორებიც და მთარგმნელნიც ისეთნი არიან, რომ მათ არც პიესებს დავუწუნებთ და არც ენას.

ამდენი პიესები ერთს-კი არა, ორ სეზონსაც ეყოფა ჩვენს თეატრს. მაშ რაზეა საქმე?

საქმე შრომასა და გარჯაზეა... ჩვენ-კი ზარმაცები ვართ!

მგელი მწიგნობარი.

*) სასურველია, რომ საცენზურო კომიტეტი ახლად ნება-დართულ პიესების სიას ოფიციალურ გაზეთ „კავკაზ“-ში გამოაქვეყნებდეს, როგორც ამას პეტერბურგის ცენზურა აქვეყნებს „Правит. Вѣст.“-ში.

## ქალაქის გამგეობის საყურადღებოდ.

მოგეხსენებათ, თუ წყალი რა მიუცილებელი და ფრიად საჭიროა ყველასთვის და ყველაფრისთვის მეტადრე ზაფხულობით, როცა უმისოთაც სიცხე-პაპანაქებისაგან სული გვეხუთება თვითეულის მკვიდრთა უმრავლესობას. თქვენც და ქალაქის გამგეობასაც აგრეთვე კარგათ მოგეხსენებათ, თუ რა ძნელია ყველამ, მდიდარმა და ღარიბმა გაიყვანოს სახლებში წყალი. და აი, კიდეც ეს იყო მიზეზი, რომ იმ მცხოვრებლებს, რომელთაც სახლებში წყალი ვერ გაუყვანიათ, წყლის მზიდავი მუშები დაუნიშნეს. მაგრამ ამ მუშებისაგან (უფრო კი ჩარჩებისაგან) მეტად გაწვალებულია ხალხი, მეტადრე კი ღარიბი ხალხი. ეს წყლის მზიდველი მუშები იმდენად გადიდგულებული და გაამაყებულნი არიან, რომ მკვიდრთა თხოვნას და ვედრებას მუდამ გინებით და ჩხუბით ხვდებიან. ამათ თავგასულობას ვერც ერთი დაწესებულების მოხელე ვერ შეედრება... მაგალითად, მთელი ოჯახობა რომ უწყლოთ ეხოცებოდეს ვინმეს, ეს მუშები არც თვითონ წაიღებენ წყალს და არც სხვა მუშებს მისცემენ ნებას. მათ დაუჭერიათ რამდენიმე მუშა და წყლის სრული მონოპოლიაც აუღიათ, ხოლო საიდან,—კი არ ვიცით. ასე რომ, თუ გაგვიწყრა ღმერთი და ამ ჩარჩ-მუშამ არ მოიგუნება, ჩვენ უწყლობით უნდა დავიხოცოთ! ვისაც სახლებში გაჰყავს წყალი, მარტო ერთი რამ აშინებს: ვაი თუ წყალი გამოელია მთელს ქალაქსო, ხოლო ჩვენ კი მაინც უბედურებაში ვართ ამ უწყლობით, თუნდაც რომ ქალაქში წყალი ბლომად იყოს...

ამასთანავე უნდა შევნიშნოთ, წყლის მომტანი მუშები იმას მაცადინეობენ ეს ბუნებით სუფთა წყალი გაამღვრიონ და გაამურტლონ. ყოველ შემთხვევაში ქალაქის გამგეობას ვსთხოვთ, მიიღოს სათანადო ზომები და თუ მეწყლე მუშათა რიცხვი ვერ სწდის მცხოვრებთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას,—გაამრავლოს მუშების რიცხვი და ყურადღება მიაქციოს ამათ თავაშვებულებას.

სარდ. ყოყოკაშვილი

## სასამართლო

12 ივლისს, ტფ. ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ქუთ. მცხოვრების ბაკოს ტარიელის ძის უიფიანისა, რომელსაც 1200 მანეთის მოპარვა ბრალდებოდა, და ივანე ზაქარაშვილისა, რომელსაც ამ დანაშაულობის დამალვა ედებოდა ბრალად. საქმე ამ ნაირად უოფილა: 1901 წლის 1-ლ იანვარს ტფ. მოქალაქეს მიხეილის ქუჩაზე მცხოვრებ ამიროვს ბანკიდან გამოუტანია 1200 მან. და თავის საწერ მაგიდის უუთში შეუნახავს. ამიროვი ხშირად ნახავდა ხოლმე 7 იანვრამდე ფულს და სრულად დახვდებოდა ხოლმე; 8 იანვარს, ამიროვი თეატრში წასულა, ეს დრო შეუხედნია ბაკოს უიფიანს და მორგებულის გასაღებით გაუღია უუთი ამიროვისა, საიდანაც ამოუღია 1200 მან. და გაქცეულა; სანამ პოლიცია უიფიანს დაპატიმრებდა, მას ეს ფული მიუბარებია თავის ამხანაგის ზაქარაშვილისათვის; შემდეგ ზაქარაშვილს თვითონ მიუტანია და 700 მან. პოლიციისათვის გარდაუცია; საქმის გარჩევის დროს სასამართლოში დაბარებული იყო 7 მოწმე; სასამართლოს დაკითხვაზე უიფიანმა განაცხადა: დამნაშავე გარო, შევსცდი ამ ფულების მოპარვაში; მოპარულ ფულებიდან 700 მან. ზაქარაშვილს მივაბარე და დანარჩენი 500 მან. ფეხის-ადგში ჩავყარეო. მეორე ბრალდებულმა ზაქარაშვილმა სთქვა: მე ჯერ არ ვიცოდი, თუ საიდან ჰქონდა უიფიანს ნაშოვნი ეს ფულები, მომაბარა და შევინახეო, ხოლო. როცა შემდეგ გაზ. «ცნ. ფურც.» წავიკითხე ამბავი, რომ უიფიანმა ამიროვს 1200 მან. მოჰპარაო, უიფიანისაგან მობარებული 700 მან. მაშინვე წავიღე და პოლიციის გარდავეციო. ბრალდებულთა ვექილმა ნაფიც-ვექილის თანშემწემ გ. რცხილაძემ ითხოვა ზაქარაშვილის გამართლება, ხოლო უიფიანის—მცირედ დასჯა. ცოტა ხნის შემდეგ სასამართლომ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც ბაკოს უიფიანი დამნაშავედ იქმნა ცნობილი, რომ მორგებულის გასაღებით ამიროვს 1200 მან. მოჰპარა და გადაუწყვიდა 4 თვით ციხეში დაპატიმრება, ხოლო ივანე ბეჟანისძე ზაქარაშვილი, რომელსაც ამ დანაშაულობის დამალვა ჰბრალდებოდა, გაამართლა ოლქის სასამართლომ.

## საღამოს დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

13 ივლისი.

**პეტერბურგი.** დიდი მთავარი პავლე ალექსანდრეს ძე 12 ივლისს გაემგზავრა საზღვარ გარედ.

12 ივლისს მოვიდა პეტერბურგში საბერძნეთის კოროლევიჩი ანდრია.

**პარიზი.** სამხედრო მინისტრმა დეპეშით ნება დართო გენერალ უარონს დაბრუნდეს იმ გემით, რომელიც ჩინეთიდან მიდის 2 აგვისტოს. მის მაგიერ უფროსობა ექმნება ჩაბარებული გენერალ სიულიონს.

**ლონდონი.** ექსპერტებმა-ბაქტერიოლოგებმა ზედ მიწევნით გამოიკვლიეს და დაამტკიცეს, რომ გემ „ორნმზე“ შავი ჭირით არავინ ყოფილა ავად.

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატა. ადგილობრივი თვით-მმართველობის დეპარტამენტის პრეზიდენტმა ლონგმა ის აზრი გამოსთქვა, რომ კოხის თეორია, ვითომ კაცის ჭლექი საქონლის ჭლექისაგან განსხვავდებოდეს, ამ ჟამად არ არის მიღებული მეცნიერებაში. ეს კითხვა ზედ-მიწევნით უნდა იყოს განხილული, მაგრამ „მე ვერ დაგპირდებითო, სთქვა ლონგმა, რომ მთავრობამ კოხის თეორიის თანახმად ღონისძიებანი მიიღოსო“.

**ლონდონი.** კიტჩენერი იტყობინება პრეტორიიდან დეპეშით, რომ გარრატის რაზმის ცხენოსანი ჯარი 8 ივლისს რეიცბურგს ახლო ბურების ქარავანს დაეცა, 25 კაცი ტყვედ წაიყვანა და რამდენიმე ფურგუნი ხელში ჩაიგდო. ინგლისელებს ორი ოფიცერი და ექვსი ჯარის კაცი დაუჭრეს.

**ბერლინი.** „პოსტ“-ი ირწმუნება, რომ „Deutche Gertner Zeitung“-ის ცნობა, კარტოფილზე და სხვა და სხვა საბაღო ნაწარმოებზე განზრახულ ბაჟის შესახებ, წინდაოცნებაა. „Kreiz-Zeitung“-ის სიტყვ
ეების შესახებ კანონი დღეს
„Reichsanzeiger“-ში გამოცხადდება.

**სმოლენსკი.** დიდი მთავარი
ალექსანდრეს ძე 11 ივლისს სმ
მოვიდა. სადგურზე ადმინისტრაცი
მომადგენლები და საპატიო დარაჯ
და შემდეგ მისი უმაღლესობა 1
დივიზიის ბანაკში წავიდა. ჯარებ
ლიერა და უცებ გამოიწვია მე-4
კის პოლკი. შემდეგ სასაფლაო
საავადმყოფო დაათვალიერა და საკ
ტაძარში წაბძანდა, სადაც პარაკლ
სმინა და სმოლენსკის ღვთისმშობ
ემთხვია.

**კიევი.** სახალხო სახლის საძირ
ყარეს. ამ სახლს კიევის წერა-კით
ზოგადოება აშენებს.

**ლონდონი.** პროფესორ კოხის
საცემლად გამართულ სადილის დრ
ერო ჯანმრთელობისათვის მზრუნვ
ტიტუტის თავმჯდომარემ პროფეს
ბერტ სმიტმა გერმანელ მეცნიერ
გორც ინსტიტუტის საპატიო წევრ
რა მედალი და დიპლომი.

**ლონდონი.** ვეიხაივეიდან იუ
რომ ნავთ-სადგურის სიმაგრეების
შეჩერებულია; ვაჭრები და მემ
უკმაყოფილონი არიან, რადგანაც მ
რომ მათგან ამასწინად შეძენილი
საკმაოდ არაა დაცული.

რედაქტორი ალ. ჭყონია. გამომ... ალ. ...

## გამოსადეგი ცნობანი

**მიმოსვლა რკინის გზის მატარებ...**

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურ... ფრჩხილებში კი—ტფილისის).

ა) **ტფილისიდან** ბათუმისაკენ: ...
ფი მატარებელი გადის დილის 9 ...
(10 ს. 9 წ.); 2) საფოსტო—გადის
5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ.); 3) სამ...
გადის დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 47...

**ტფილისიდან** ბაქოსაკენ: 1)
მატარ. გადის (მხოლოდ ხუთშაბათობით...
დის 9 ს. 17 წ. (10 ს. 15 წ.); ...
—გადის დილის 11 ს. 48 წ. (12 ...
3) სამგზავრო—გადის საღამ. 8 ...
(9 ს. და 16 წ.).

**ტფილისიდან** ყარსისაკენ: ...
მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს...

**ტფილისიდან** ბორჯომში: ...
მატარ. გადის შუადღის 1 ს. 40 ...
38 წ.).

ბ) **ქუთაისიდან** ტფილისამდე: ...
ტარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. ...
წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 ...
38 წ.); 3) ბაქომდე—შუადამის 2 ...
(3 ს. 30 წ.).

**ქუთაისიდან** ბათუმისაკენ: 1)
გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 ...
გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ...

გ) **ბათუმიდან** ტფილისამდე: 1)
მატარ. გადის საღამ. 9 ს. 45 წ. (1...
წ.); 2) საფოსტო მატარ. ბაქომდე
საღამ. 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.) ...
მგზავრო მატარ. ბაქომდე გადის ...
ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.).

## განცხადებან...

ახალი წიგნი

სამეგრელოს აღწ...

არქანჯელო ლამბერტის

იტალიურით ნათარგმნი

ალექსანდრე ჭყონია

(სამეგრელოს რუქით)

ფასი 1 მანეთი

დაბეჭდილია მცირეოდენი ცალი ...
დება მხოლოდ: ტფილისში „წერ...
საზოგადოების“ მაღაზიაში და ქარ...
ამხანაგობის კიოსკში და ქუთაისში ...
ძის და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში.

 ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობ...